



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება N56

2013 წლის 29 მარტი
ქალაქი ხაშური



ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის 2013 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #243 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის 2013 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #243 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
 - ა) დანართის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში რიცხვი „95 000“ შეიცვალოს რიცხვით „105 000“;
 - ბ) დანართის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 2. პროგრამის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებას ახორციელებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხაშურსერვისი“ - მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდიის (სავარაუდო მოცულობა - 15 000 ლარი) ხარჯზე, ხოლო პროგრამის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიება (სავარაუდო მოცულობა - 4133 ლარი) ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით.“
 - გ) დანართის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. პროგრამის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მონიტორინგს ახორციელებს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.“
2. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ერთი თვის ვადაში ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. #15).

საკრებულოს თავმჯდომარე  დავით ლომიძე

